კომპანიის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქტის რეალიზაციის მომენტში მასზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნების და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გაყიდული პროდუქციის უკან დაბრუნება და შესაბამისი ანაზღაურება
- სხვა პროდუქტის მიღება დაბრუნების სანაცვლოდ (ე.წ. გაცვლა)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები
- წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენის ანაზღაურება
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

იჯარა**საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავლის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები**

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანია ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახავს მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

4. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი**

კომპანია რეგულარულად გადახედავს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურების, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურებას მოგება-ზარალში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
31 დეკემბერი, 2022	2,613,167	119,789	8,514,932	11,247,888
შეძენა	116,348	-	119,633	235,981
31 დეკემბერი, 2023	2,729,515	119,789	8,634,565	11,483,869
შეძენა	14,897	-	121,665	136,562
31 დეკემბერი, 2024	2,744,412	119,789	8,756,230	11,620,431
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი, 2022	2,101,959	12,340	3,777,853	5,892,152
ცვეთის დარიცხვა	147,354	23,958	1,124,472	1,295,784
31 დეკემბერი, 2023	2,249,313	36,298	4,902,325	7,187,936
ცვეთის დარიცხვა	144,080	23,958	1,130,392	1,298,430
31 დეკემბერი, 2024	2,393,393	60,256	6,032,717	8,486,366
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2023	480,202	83,491	3,732,240	4,295,933
31 დეკემბერი, 2024	351,019	59,533	2,723,513	3,134,065

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,089,220 ლარს (31 დეკემბერი, 2023 5,056,625 ლარი). კომპანიას არ აქვს მესამე მხარის სასარგებლოდ გირავნობით დატვირთული ძირითადი საშუალებები.

6. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ფეხსაცმელი	8,851,418	6,228,442
აქსესუარები	1,251,282	741,830
ტექსტილი	598,328	437,320
სულ მარაგები	10,701,028	7,407,592
მარაგების რეზერვი	(1,094,617)	(704,374)
სულ მარაგები, რეზერვების გამოკლებით	9,606,411	6,703,218
მარაგების რეზერვი:		
	2024	2023
საწყისი ნაშთი	704,374	413,913
მარაგების რეზერვის ხარჯი	772,715	571,667
მარაგების რეზერვის ხარჯის ამობრუნება	(382,472)	(281,206)
საბოლოო ნაშთი	1,094,617	704,374

აღნიშნული მარაგები არ არის დატვირთული ვალდებულების უზრუნველყოფით მესამე მხარის სასარგებლოდ.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	84,788	447,161
უსაფრთხოების დეპოზიტები	63,536	103,933
მოთხოვნა პერსონალის მიმართ	10,381	-
სავაჭრო მოთხოვნები	2,643	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	161,348	551,094
გაუფასურების რეზერვი	(46,271)	(103,046)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	115,077	448,048

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა

	2024	2023
1 იანვარი	103,046	103,046
დარიცხვა	-	-
ამობრუნება	(56,775)	-
31 დეკემბერი	46,271	103,046

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან. უსაფრთხოების დეპოზიტები იდება მაღაზიის ფართების ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად. გაუფასურების რეზერვი წარმოადგენს უსაფრთხოების დეპოზიტების გაუფასურებას.

8. გაცემული სესხები

კომპანიის გაცემული სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო ხარჯი	ვალუტა	31 დეკემბერი, 2024		
					სესხის ძირის ნაშთი	დარიცხული პროცენტის ნაშთი	სულ
სესხი N 1	1/24/2023	4/24/2026	10%	USD	4,210,200	784,750	4,994,950
					4,210,200	784,750	4,994,950

	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო ხარჯი	ვალუტა	31 დეკემბერი, 2023		
					სესხის ძირის ნაშთი	დარიცხული პროცენტის ნაშთი	სულ
სესხი N 1	1/24/2023	4/24/2026	10%	USD	4,034,100	347,411	4,381,511
					4,034,100	347,411	4,381,511

	2024	2023
წლის საწყისი ნაშთი	4,381,511	-
სესხის გაცემა	-	3,917,760
პროცენტის დარიცხვა	409,237	347,411
საკუროს მოგება	204,202	116,340
წლის საბოლოო ნაშთი	4,994,950	4,381,511

სესხი გაცემულია მშობელ კომპანიაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტების 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ლარში დენომინირებული	5,571,001	4,480,793
აშშ დოლარში დენომინირებული	1,033,014	120,999
ფულადი სახსრები სალაროში (ლარში დენომინირებული)	64,519	196,448
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	6,668,534	4,798,240

ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში არის მოთხოვნამდე. მოთხოვნამდე საბანკო ბალანსები განთავსებული იყო “BB-“ რეიტინგის მქონე ბანკში ფიჩის რეიტინგის მიხედვით.

10. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სესხის ძირი	10,601,500	7,530,470
სესხზე დარიცხული პროცენტი	125,959	53,246
სულ მიღებული სესხები	10,727,459	7,583,716

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2024	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა
სესხი N 1	5,271,500	2/28/2024	2/28/2025	0	ლარი
სესხი N 2	5,455,959	11/8/2024	11/8/2025	0	ლარი
სულ მიღებული სესხები	10,727,459				

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2023	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა
სესხი N 1	5,487,819	11/10/2023	11/11/2024	16%	ლარი
სესხი N 2	1,977,665	6/29/2023	7/1/2024	15%	ლარი
სესხი N 3	118,232	6/14/2021	6/28/2024	7.25%	აშშ დოლარი
სულ მიღებული სესხები	7,583,716				

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს ლარის საკრედიტო ხაზი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზი და დოლარის სტანდარტული სესხი. კომპანიის მიღებული სესხები არის ბანკისგან, რომლის აღების საკომისიომ 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეადგინა 53,008 ლარი (2023 წელი - 0 ლარი).

მიღებული სესხების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
წლის საწყისი ნაშთი	7,583,716	7,784,486
სესხის მიღება	10,601,500	7,412,796
სესხის ძირის გადახდა	(7,531,884)	(7,657,449)
სესხის პროცენტის დარიცხვა	1,698,810	1,236,487
დარიცხული პროცენტის გადახდა	(1,626,097)	(1,186,516)
საკუთრის სხვაობის ეფექტი	1,414	(6,088)
წლის საბოლოო ნაშთი	10,727,459	7,583,716

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო ვალდებულებები	2,770,216	874,423
გადასახდელი ხელფასები	22,773	11,584
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,792,989	886,007

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას მარაგების მომწოდებლების და სერვისების მომწოდებლების მიმართ კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებზე ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 22-ში. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის მიმდინარე.

12. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივები წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა შეიცავს 345,685 ლარის ოდენობის პირობით საგადასახადო ვალდებულებას.

13. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია მისი შევსების მიხედვით. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 8,000,000 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი. 2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას არ განუცხადებია დივიდენდები.

14. ამონაგები

კომპანიის ამონაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ამონაგები ფეხსაცმლის რეალიზაციიდან	24,216,500	22,603,655
ამონაგები ტექსტილის რეალიზაციიდან	2,693,844	2,315,467
ამონაგები აქსესუარების რეალიზაციიდან	1,989,081	1,897,469
სულ ამონაგები	28,899,425	26,816,591

კომპანიას შემოსავალი აქვს ფეხსაცმლების და აქსესუარების რეალიზაციიდან, რომელიც ხდება დროის გარკვეულ მომენტში. კომპანია რეალიზაციას ახორციელებს საცალო მაღაზიების მეშვეობით, რომლებიც განთავსებულია საქართველოს მასშტაბით. კომპანიის შემოსავლები წარმოდგენილია ფასდათმობების და უკან დაბრუნებების გათვალისწინებით.

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
რეალიზებული ფეხსაცმლის თვითღირებულება	12,953,318	10,947,736
რეალიზებული აქსესუარების თვითღირებულება	1,359,874	997,420
რეალიზებული ტექსტილის თვითღირებულება	987,439	892,744
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15,300,631	12,837,900

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	698,022	376,511
საგადასახადო ხარჯი	338,233	479,351
საკომისიო ხარჯები	188,154	13,155
მომსახურების ხარჯები	69,664	65,805
წარმომადგენლობითი ხარჯი	47,940	22,175
პროდუქციის განადგურების ხარჯები	28,157	162,926
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	25,142	44,055
საიჯარო ხარჯი	10,603	-
კომუნალური ხარჯი	3,073	1,986
სხვა	20,244	4,945
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,429,232	1,170,909

17. მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები

კომპანიის მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
საიჯარო ხარჯი	5,496,990	4,565,742
ხელფასის ხარჯი	2,489,186	2,148,860
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	1,273,288	1,251,729
ტრანსპორტირების ხარჯი	677,673	532,301
კომუნალური ხარჯი	439,306	438,093
რეკლამის ხარჯი	361,609	162,051
საკომისიო ხარჯი	274,536	245,982
წარმომადგენლობითი ხარჯი	103,326	138,861
მომსახურების ხარჯები	99,637	104,334
დაზღვევის ხარჯი	14,543	60,593
სხვა	219,054	224,639
სულ მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	11,449,148	9,873,185

18. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი)

კომპანიის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი) 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	(180,199)	98,570
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი)	(180,199)	98,570
	2024	2023
არარეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	(441,361)	188,676
რეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	261,162	(90,106)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი)	(180,199)	98,570

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი) (გაგრძელება)

	2024	2023
საკურსო მოგება ფინანსური აქტივებიდან	204,202	116,340
საკურსო მოგება ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან	56,960	(90,106)
საკურსო ზარალი სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან	(439,947)	66,248
საკურსო მოგება სხვა ფინანსური ვალდებულებებიდან	(1,414)	6,088
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი)	(180,199)	98,570

19. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიას არ აქვს მოგების გადასახადის ხარჯი 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს, 2023 წელს მოგების გადასახადის ხარჯი 691,370 ლარის ოდენობით დარიცხულია მშობელ კომპანიაზე გაცემული სესხზე.

20. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს. მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. რადგან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო რეალიზაცია 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,289	887
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,668,534	4,798,240
სულ მაქსიმალური გავლენა რისკის მიმართ	6,698,823	4,799,127

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	თურქული ლირა	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	76,560	-	-	76,560
გაცემული სესხები	-	4,994,950	-	4,994,950
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,635,520	1,032,420	594	6,668,534
	5,712,080	6,027,370	594	11,740,044
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10,727,459	-	-	10,727,459
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	527,539	2,265,450	-	2,792,989
	11,254,998	2,265,450	-	13,520,448
ღია საბალანსო პოზიცია	(5,542,918)	3,761,920	594	(1,780,404)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	თურქული ლირა	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103,933	-	-	103,933
გაცემული სესხები	-	4,381,511	-	4,381,511
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,677,241	120,405	594	4,798,240
	4,781,174	4,501,916	594	9,283,684
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	7,465,484	118,232	-	7,583,716
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	886,007	-	-	886,007
	8,351,491	118,232	-	8,469,723
ღია საბალანსო პოზიცია	(3,570,317)	4,383,684	594	813,961

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	20%	-20%	20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	752,384	(752,384)	876,737	(876,737)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე. კომპანიის საპროცენტო განაკვეთი როგორც მიღებულ ასევე გაცემულ სესხებზე ფიქსირებულია.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც უპირატესად სესხებისგან შედგება. კომპანია სახსრებს აბანდებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეძლოს სწრაფად და უმტკივნეულოდ მოახდინოს რეაგირება გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებზე. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი საშუალებების და მისი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 10). მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფულადი საშუალებების ლიკვიდურობის პორტფელი შესაძლოა რეალიზდეს ნაღდ ფულზე ერთი დღის განმავლობაში, რათა დააკმაყოფილოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნები. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის შესაბამისად. ვადიანობის ცხრილში მოცემული თანხები არის სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. აღნიშნული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოცემული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ეყრდნობა დისკონტირებულ ფულად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები დაკონვერტირებულია სპოტ სავალუტო კურსი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	38,517	38,517
გაცემული სესხები	-	4,381,511	4,381,511
ფული და ფულადი სახსრები	6,668,534	-	6,668,534
	6,668,534	4,420,028	11,088,562
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10,727,459	-	10,727,459
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,792,989	-	2,792,989
	13,520,448	-	13,520,448
ლიკვიდურობის სხვაობა	(6,851,914)	4,420,028	(2,431,886)
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(6,851,914)	(2,431,886)	(2,431,886)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	887	887
გაცემული სესხები	-	4,381,511	4,381,511
ფული და ფულადი სახსრები	4,798,240	-	4,798,240
	4,798,240	4,382,398	9,180,638
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7,583,716	-	7,583,716
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	886,007	-	886,007
	8,469,723	-	8,469,723
ლიკვიდურობის სხვაობა	(3,671,483)	4,382,398	710,915
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(3,671,483)	4,382,398	710,915

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს კომპანიი დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
აქტივები				
გადახდილი ავანსები	-	-	-	-
გაცემული სესხები	4,994,950	-	4,381,511	-
სულ აქტივები			4,381,511	-
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,852,759	7,549	170,348	4,549
სულ ვალდებულებები	1,852,759	7,549	170,348	4,549

	2024	2023
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16,704	16,025
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები	152,900	121,730

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2024	2023
ხელმძღვანელობის და მმართველი რგოლის შრომის ანაზღაურება	251,897	84,463

23. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 12 ივნისს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარე.

შპს „ფლო ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	28
საქმიანობის მიმოხილვა.....	28
ძირითადი რისკები	29
ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები	29

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფლო ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2016 წლის 10 ოქტომბერს დაფუძნდა და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, ნაკვ. 05,107. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელია სს ფლო მაღაზაჯილიქ ვე ფაზარლამა (460233, 3880239429 თურქეთი) 100%-იანი წილით.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ფლო ჯორჯია არის უცხოური საწარმოს შვილობილი კომპანია საქართველოში, რომელიც ქართულ ბაზარზე ოპერირებს შემდეგი ბრენდების სახელით: FLO და INSTREET. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ფეხსაცმელებით, ტანსაცმელითა და აქსესუარებით. კომპანიის დირექტორი არის მუსტაფა შადან ქესქინ.

კომპანიის კაპიტალი შედგება დამფუძნებლის საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, კომპანიას არ შეუცვლია კაპიტალის სტრუქტურა 2024 წელს, კომპანიას არ მოუხდენია საკუთარი აქციების შესყიდვა.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია 2024 წლის განმავლობაში საქმიანობას ეწეოდა თბილისში, ბათუმსა, ზუგდიდსა და რუსთავში საოპერაციო იჯარის ფარგლებში სარგებლობის უფლებით მიღებულ სავაჭრო ფართებში. კომპანია ოპერირებს თერთმეტი ფილიალის საშუალებით, რომელიც სთავაზობს მომხმარებლებს მრავალფეროვან ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და აქსესუარების არჩევანს.

ქ. თბილისში, ქ. რუსთავში და ქ. ბათუმში და ზუგდიდში არსებული ფილიალები, კომპანიის მმართველობაში არსებული ყველა მაღაზია განთავსებულია სავაჭრო ცენტრებში როგორცაა ისთ პოინტი, თბილისის ცენტრალი, გლდანი სითი მოლი, ბათუმი მეტრო სითი მოლი, თბილისის მოლი, რუსთავი მოლი ქარვასლა მოლი და ზუგდიდი მოლი.

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად ზრუნავს მომხმარებლის წახალისებისთვის, რაც გამოიხატება სხვადასხვა მარკეტინგულ აქტივობებში, მაგალითად: აქცია 1+1, სხვადასხვა სახის ფასდაკლებები - 30%, 50% 70%, წინასასკოლო და სეზონური ფასდაკლებები და ა.შ. კომპანიის მარკეტინგული გეგმის ძირითადი მიზანია, სხვა და სხვა აქციებზე ან/და ფასდაკლებებზე ინფორმაციის მიწოდება ქვეყნის მასშტაბით. ძირითადი პლატფორმები რომლითაც ვსარგებლობთ არის რადიო და სმს შეტყობინებები, ბანერები და მაღაზიის ვიტრინების ვიზუალიზაცია.

ინფორმაცია კომპანიის დასაქმებულების შესახებ და მათ გავითარებაში ჩატარებული ღონისძიებები

2024 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა კომპანიაში შეადგენდა 140 ადამიანს. საოპერაციო ნაწილის მხარდაჭერას უზრუნველყოფს 130 თანამშრომელი რომლის მუდმივ მხარდაჭერას და პროფესიულ ზრდას ახორციელებს პერიოდული ტრენინგებითა და სამოტივაციო შეხვედრებით. ფილიალების მენეჯერები პასუხისმგებელი არიან პროდუქტების გაყიდვასა და განვითარებაზე, ასევე ისინი პასუხისმგებელი არიან მენეჯმენტისთვის სასარგებლო და დროული ინფორმაციის მიწოდებაზე, როგორც ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე, ასევე მაღაზიებში შექმნილ ვითარებაზე. ზემოთ აღნიშნული მიმართულებების საფუძველზე ბევრი რამ გაკეთდა ბოლო პერიოდში, კერძოდ ფილიალების უშუალო ჩართულობით მოხდა ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროდუქტის დამატება.

კომპანიის განვითარების გეგმები

მომავალში კომპანიის ძირითადი გეგმა გაფართოვდეს, გახსნას არსებული ბრენდების ახალი ფილიალები და დაამატოს დედა კომპანიის პორტფოლიოში არსებული სხვა ბრენდები, რათა პროდუქციის უფრო ფართო არჩევანი შესთავაზოს არსებულ მომხმარებელს და მოიზიდოს ახალი მომხმარებელი, მაგალითისთვის ბრენდები რომლის დამატებაც ან/და გაფართოება კომპანიას სურს არის Salomons, Addidas, Nike, Puma, Reebok.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის განვითარებისა და მიზნების განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით არსებული სტაბილურობის შენარჩუნება, რაც გავლენას ახდენს როგორც ტურისტულ ნაკადებზე ასევე ადგილობრივი მომხმარებლების შენარჩუნებასა და მოზიდვაზე.

კომპანიას აქვს აქვს ლიკვიდურობის და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკები. კომპანიის ფინანსური სტრუქტურა ჯანსაღია, ასევე საჭიროების შემთხვევაში კომპანიის დამფუძნებლის მხირდან არსებობს მზაობა ფინანსური დახმარების გაწევის.კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

კომპანიის მოზიდული სახსრები არის სესხი ადგილობრივ ბანკში.

ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024	2023
შემოსავალი	28,899,425	26,816,591
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(15,300,631)	(12,837,900)
საერთო მოგება	13,598,794	13,978,691
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,429,232)	(1,170,909)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	(11,449,148)	(9,873,185)
სხვა შემოსავალი	661,813	295,049
სხვა ხარჯები	(767,182)	(571,667)
საოპერაციო მოგება	615,045	2,657,979
ფინანსური ხარჯი	(1,751,818)	(1,236,487)
ფინანსური შემოსავალი	409,237	347,411
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	(180,199)	98,570
მოგება დაბეგრვამდე	(907,735)	1,867,473
მოგების გადასახადის ხარჯი		(691,370)
წლის წმინდა მოგება	(907,735)	1,176,103
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(907,735)	1,176,103

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,134,065	4,295,933
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,134,065	4,295,933
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	9,606,411	6,703,218
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	115,077	448,048
გაცემული სესხები	8	4,994,950	4,381,511
სხვა მიმდინარე აქტივები		1,822	1,822
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	6,668,534	4,798,240
სულ მიმდინარე აქტივები		21,386,794	16,332,839
სულ აქტივები		24,520,859	20,628,772
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები- მოკლევადიანი	10	10,727,459	7,583,716
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	2,792,989	886,007
გადასახდელი მოგების გადასახადი	19	691,369	691,369
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	12	248,707	499,610
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,460,524	9,660,702
სულ ვალდებულებები		14,460,524	9,660,702
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	8,000,000	8,000,000
გაუნაწილებელი მოგება		2,060,335	2,968,070
სულ კაპიტალი		10,060,335	10,968,070
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,520,859	20,628,772

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.476	1.691
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	1.876	2.036
საერთო მარჟის კოეფიციენტი	47%	52%

კომპანიის ბრუნვა 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაზრდილია, თუმცა კომპანიის საერთო მოგების მარჟა შემცირებულია 5%-ით, რაც გამოწვეულია ბაზარზე გაზრდილი კონკურენციით, რის გამოც კომპანიის პოლიტიკაა მომხმარებელს შესთავაზოს უფრო ხელმისაწვდომი ფასები, კომპანიის მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი მცირედით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ კომპანიამ ვერ შეძლო წინა წლის მსგავსად მარაგების ანალიზი და მათ მენეჯმენტი, თუმცა ამის მიუხედავად ბრუნვა გაზრდილია.

მუსტაფა შადან ქესქინ

12 ივნისი, 2025

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,134,065	4,295,933
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,134,065	4,295,933
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	9,606,411	6,703,218
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	115,077	448,048
გაცემული სესხები	8	4,994,950	4,381,511
სხვა მიმდინარე აქტივები		1,822	1,822
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	6,668,534	4,798,240
სულ მიმდინარე აქტივები		21,386,794	16,332,839
სულ აქტივები		24,520,859	20,628,772
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები- მოკლევადიანი	10	10,727,459	7,583,716
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	2,792,989	886,007
გადასახდელი მოგების გადასახადი	19	691,369	691,369
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	12	248,707	499,610
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,460,524	9,660,702
სულ ვალდებულებები		14,460,524	9,660,702
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	8,000,000	8,000,000
გაუნაწილებელი მოგება		2,060,335	2,968,070
სულ კაპიტალი		10,060,335	10,968,070
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,520,859	20,628,772

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.476	1.691
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	1.876	2.036
საერთო მარჟის კოეფიციენტი	47%	52%

კომპანიის ბრუნვა 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაზრდილია, თუმცა კომპანიის საერთო მოგების მარჟა შემცირებულია 5%-ით, რაც გამოწვეულია ბაზარზე გაზრდილი კონკურენციით, რის გამოც კომპანიის პოლიტიკაა მომხმარებელს შესთავაზოს უფრო ხელმისაწვდომი ფასები, კომპანიის მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი მცირედით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ კომპანიამ ვერ შეძლო წინა წლის მსგავსად მარაგების ანალიზი და მათ მენეჯმენტი, თუმცა ამის მიუხედავად ბრუნვა გაზრდილია.

მუსტაფა მაღინ ქესქინ

12 ივნისი, 2025

თბილისი, საქართველო

